www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა
სტატისტიკა საქართველოში 2017

15.05.2018

www.geostat.ge

15.05.2018

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა
(2017 წელი)

2017 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 7.9 მილიონი შემოსვლა, რაც 17.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 44.7%, განხორციელდა 31-50 წლის ასაკის მქონე მოგზაურების მიერ.

2016-2017 წლებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელე-ბული ვიზიტების[3] რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20.2 პროცენტით არის გაზრდილი.

[1] ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2] **ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2016-2017 წლებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.



ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა, 2.4 მილიონი, მესამე კვარტალში დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 26.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 4.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 23.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში მოცემულია საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით.

2016-2017 წლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5.1 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 21.8 პროცენტით არის გაზრდილი.

საერთაშორისო ვიზიტორების 63.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4]იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 30.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.8 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	2016	2017
მხოლოდ ტურისტი	2,610.0	3,267.0
მხოლოდ ექსკურსანტი	1,350.2	1,556.2
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	241.4	295.4
სულ	**4,201.6**	**5,118.6**

2017 წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 967.6 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 18.9 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 22.5 პროცენტიან ზრდას 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ვიზიტების ყველაზე დიდი წილი (20.1პროცენტი) აგრეთვე აზერბაიჯანის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.
[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 46.1 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 37.7 პროცენტს შეადგენდა.

2017 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



2017 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
ქალი	1,928.2	37.7
კაცი	3,190.3	62.3
სულ	**5,118.6**	**100.0**

2017 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი, 37.7 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

2017 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	2,447.1	37.7
მეგობრების/ნათესავების მონახულება	1,442.0	22.2
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	1,173.6	18.1
„შოპინგი“, საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის	618.9	9.5
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	532.1	8.2
მკურნალობა, გაჯანსაღება	175.5	2.7
სხვა	93.6	1.4
სულ	**6,482.8**	**100.00**

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაბამისად, 3.1 მილიონი და 1.9 მილიონი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

2017 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით , %



2017 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 4.3 ღამე შეადგინა, რაც 2016 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს (3.8 ღამე) 13 პროცენტით აღემატება.

განხორციელებული ვიზიტების 75 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017 წელს საქართველოში

განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

2017 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით , %



2017 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული წლიური ხარჯები 5.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 31.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 9.4 პროცენტით გაიზარდა და 888.7ლარი შეადგინა.

2017 წელს ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
განთავსება	1,326.9	23.0	204.7
გართობა	1,066.0	18.5	164.4
საკვები და სასმელი	1,476.5	25.6	227.8
საყიდლები	789.7	13.7	121.8
ადგილობრივი ტრანსპორტი	483.4	8.4	74.6
ხანგრძლივი მოხმარების საგნები	382.7	6.6	59.0
ძვირფასი ნივთები	40.5	0.7	6.3
სხვა	195.8	3.4	30.2
სულ ხარჯი	**5,761.6**	**100.0**	**888.7**

საკონტაქტო პირი: ირმა გვილავა
ტელ: (+995 32) 236 72 10 (608)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ. ფოსტა: igvilava@geostat.ge